პროლეტარიელებო, უფლება გაერთიანდით!

ახალგაზრდა სტალინელი

ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის, რექტორატის, კომკავშირის კომიტეტების, აგიტკომისია და პროფკომის ორგანო

Александр Сталинели—орган парткома, ректората, комитета АКСМ, профкома и месткома Тбилисского государственного университета имени И. В. СТАЛИНА

№ 5 (319) | გაზეთი გამოდის მეცხრე წელი ოთხშაბათი, 13 თებერვალი, 1991 წ. | ფასი 2 კაპ.

გაანალიზებულ სკკ ც. კ.-ის იანვრის პლენუმის დადგენილება!

მიმდინარე წლის იანვარში ჩატარდა სკკ პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელმაც ყოველმხრივ გააშუქა ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობაში არსებული მდგომარეობა.

პლენუმის მონაწილეებმა ძირფესვიანად განიხილეს სოფლის მეურნეობის მიღწევები, მისი პერსპექტივები, ამავე დროს მოურიდებლად ამხილეს ის ნაკლოვანებანი, რომლებიც აფერხებენ სოფლის მეურნეობის. ცალკეული დარგების განვითარებას. პლენუმმა შეიმუშავა სახოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა დარგის შემდგომი განვითარების კონკრეტული პროგრამა.

სკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნისა და საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვაში, აგრეთვე პლენუმის დადგენილებაში ღრმად განზოგადებულია სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობისათვის ბრძოლის გამოცდილება, მოცემულია მისი დაუშრეტელი შესაძლებლობანი, მწვავედ მხილებულია კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელობის ნაკლოვანებანი, მკაფიოდ განსაზღვრულია მარცვლეულის, ხორცის, რძისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გადიდების გზები.

პლენუმის მონაწილეებმა ერთხმად აღიარეს, რომ მთელ სასოფლო-სამეურნეო წარმოებასა და აგრეთვე მეცხოველეობის განვითარებაში გადამწყვეტ როლს ასრულებს მარცვლეულის მეურნეობის შემდგომი აღმავლობა. ამ დიდმნიშვნელოვანი ამოცანის გადაწყვეტა მჭიდროდაა დაკავშირებული ძვირფასი სასურსათო და საკვები კულტურის — სიმინდის წარმოების შემდგომ გაფართოებასთან.

პლენუმზე ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვაში ერთ-ერთი მთავარი ადგილი აქვს დათმობილი ადამიანების შემდგომ აღზრდას შრომაში, შშრომელ ადამიანთა საზოგადოებაში.

„მთავარი ახლა ის არის, — აღნიშნა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა იანვრის პლენუმზე, — რომ დავრაზმოთ ადამიანები, ყოველდღიურად და ღრმად ვაწარმოოთ აღზრდელობითი მუშაობა მასებში შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისა და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების დაცვის სულისკვეთებით.“

აქედან გამომდინარე, დიდი ამოცანები ისახება ჩვენი უმაღლესი სასწავლებლების პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების წინაშე: აღვაზრდოთ კაცრები პარტიისა და ხალხის წინაშე პატიოსნებისა და სიმართლის სულისკვეთებით, მინდობილი საქმისადმი უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობის სულისკვეთებით.

ამ საპატიო ამოცანის განხორციელებას ემსახურება ჩვენი უნივერსიტეტის მთელი კოლექტივი. საჭიროა ღრმად რაკუკვირდეთ თვითეული ჩვენგანი და საქმით ვუპასუხოთ — როგორ მოვაწყოთ უკეთესად ჩვენი ახალგაზრდობის აღზრდა, როგორ ვიმუშაოთ, რათა ჩვენი წვლილი შეეტანოთ იანვრის პლენუმის დადგენილების პრაქტიკულად განხორციელების საქმეში.

ამ მიმართულებით ჩვენი რეს-პუბლიკის კოლმეურნეებმა, მუშებმა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა თავიანთი სიტყვა უკვე თქვეს და გარკვეული ვალდებულებანი იკისრეს ამიერკავკასიის მომეი რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირზე, რომლის მუშაობაშიც მონაწილეობდა სკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი და საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი.

იანვრის პლენუმზე აღინიშნა, რომ ჩვენს რესპუბლიკას საუკეთესო ბუნებრივი პირობები და დიდი შესაძლებლობანი აქვს მარცვლეულის წარმოების გადიდებისათვის, სახელმწიფო მოთხოვნილებათა მოლიანად დაკმაყოფილებისათვის. მარცვლის შესყიდვა უახლოეს წლებში საქართველოში აკეთილ იქნება 15 მილიონ ფუთამდე, ხოლო მიმდინარე წელს დასახულია ამოცანა — მივაღწიოთ სახელმწიფოს 10 მილიონი ფუთი მარცვლეული. საქართველოს სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირმა ვალდებულება აიღო, რომ ჩვენი რესპუბლიკის შრომელები აღნიშნულ ამოცანას წარმატებით გადაწყვეტენ.

ჩვენი უნივერსიტეტის მუშა-მოსამსახურეები და სტუდენტი ახალგაზრდობა მხურვალედ იწონებენ სკკ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის დადგენილებას და პირადად ნ. ს. ხრუშჩოვის უშუალო მონაწილეობას ჩვენი რესპუბლიკის წინაშე მდგომი ამოცანების პრაქტიკულად გადაჭრის საქმეში. ისე როგორც გასულ წლებში, მომავალში კიდევ მეტი ენერგიითა და ენთუზიაზმით მიიღებს უნივერსიტეტის სტუდენტი-ახალგაზრდობა აქტიურ მონაწილეობას ჩვენი სოფლის მეურნეობის წინაშე მდგომი ამოცანების გადაჭრის საქმეში. სწავლასა და შრომაში წარმატებების მოპოვებით შეეგებება ოვი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობას.

დოც. ალ. კოკაიძე

რიგა აღფრთოვანებულია

ზამთრის არდადეგების პერიოდში ჩვენი უნივერსიტეტის 110-კაციანი თვითშემოქმედებითი კოლექტივი (ხელმძღვანელი — ხელოვნებათმცოდნე, ასოცირებული პროფესორ ნ. ბოხონელიძე, გოკალური კვარტეტის, ანსამბლ „ალაზანის“ ხელმძღვანელი, ბ. ბოხონელიძე, ანსამბლ „ალაზანის“ ბ. ბოხონელიძე, ბ. ბოხონელიძე, ბ. ბოხონელიძე,

ერთმანეთს ხვდებსამი სპორტულლე

ზამთრის არდადეგების პერიოდში ჩვენი უნივერსიტეტის მოწვევით ჩვენთან სტუმრად იმყოფებოდნენ მოსკოვის მ. ლომონოსოვისა და ლენინგრადის ა. ჟდანოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტების სპორტული კოლექტივები. აქ ჩვენი უნივერსიტეტის სპორტულ კოლექტივთან ერთად მათ გამართეს ამხანაგური სამაჯრო შეხვედრები კალათბურთში, ფრენბურთში, ჩოგბურთში, ფარიკაობაში, ტანვარჯიშსა და ჭიდაობა სამბოში. ამ შეჯიბრებამ, რომელიც საბჭოთა საქართველოს 40 წლისთავს მიეძღვნა, კიდევ უფრო დააახლოვა ერთმანეთთან თბილისის, მოსკოვისა და ლენინგრადის უნივერსიტეტების სტუდენტი სპორტსმენები.

3 თებერვალს მოეწყო სამი უნივერსიტეტის სპორტსმენთა ამ საინტერესო შეჯიბრების საზეიმო დახურვა.

სალამო შესავალი სიტყვით გახსნა პროორეკტორმა სამეცნიერო მუშაობის დარგში, პროფესორმა ს. ყელენმა. შეჯიბრების შედეგები შეჯამა ჩვენი უნივერსიტეტის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის გამგემ, საკავშირო და საერთაშორისო კატეგორიის მსაჯმა კ. ზაუტაშვილმა, მანვე გამოაქვეყნა რეკორთა ბრძანება შეჯიბრებაში გამარჯვებული სპორტსმენების სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოების შესახებ. დაჯილდოებულთ საჩუქრები და სიგელები გადასცა სპორტული კლუბის გამგემ, დოც. გ. პატარიძემ.

შეჯიბრების მონაწილეებისადმი მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ სტუდენტი მ. გაბიძაშვილი, სპორტის ოსტატი ნ. კარჩელიშვილი, მოსკოვის უნივერსიტეტის კალათბურთელ ჯალთა გუნდის კაპიტანი ი. დმიტრიევა, ლენინგრადის უნივერსიტეტის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის გამგის მოადგილე პ. კოვალიოვი და ჩვენი უნივერსიტეტის კომკავშირის კომიტეტის მდივანი ნ. ქავთარაძე, რომელმაც შეჯიბრების მონაწილე რამდენიმე ამხანაგს გადასცა საქართველოს ალკა თო ორკონიკიძის სახელობის რაიკომის სიგელები.

ჩვენი გაზეთის ეს გვერდი მთლიანად ეძღვნება აღნიშნული ღონისძიების ამსახველ მასალებს.

საბჭოთა საქართველოს 40 წლისთავს მიეძღვნა

★ ★ ★

ფრენბურთის გადესთან

დიდი ინტერესი გამოიწვია ჩვენი უნივერსიტეტის ფრენბურთელ ქალთა შეჯიბრებამ ლენინგრადის უნივერსიტეტის ქალ ფრენბურთელებთან. ამ გუნდების შეხვედრა ჩატარდა 1 თებერვალს, ლენინის სახელობის სპორტულ დარბაზში.

ჩვენი უნივერსიტეტის გუნდმა თამაში სწრაფი ტემპით დაიწყო, მან გაიზრუალი შეტევებით დაიბნია მოწინააღმდეგე და დამსახურებულად გაიმარჯვა ანგარიშით 2:0.

შ. მარგიშვილი.



უნივერსიტეტის ფრენბურთელ ქალთა გუნდის მწვრთნელი.

სურათებზე: 1. (ზემოთ) — მძაფრი მომენტი ფრენბურთის ბადესთან. 2. (ქვემოთ) — I ადგილზე გამოსული, ჩვენი უნივერსიტეტის ფრენბურთელ ქალთა გუნდი (მარცხნიდან) — ც. აბუაშვილი, ე. ამირიანი, ლ. კარაგიოზოვა, მ. გოგლიძე, ე. მანტო, ნ. იმედაშვილი.

გაიმარჯვეს ჩვენ ტანმოვარჯ

სპორტულ ტანვარჯიშში შეჯიბრება ჩატარდა სტალინის სახელობის სანაპაროს ტანვარჯიშის დარბაზში.

მეგობრული ტაშისცემით შეხვდნენ მაყურებლები შეხვედრის მონაწილეებს. პირველად გამოვიდნენ ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის უნივერსიტეტის სპორტსმენები. შემდეგ ჟდანოვის სახელობის ლენინგრადის უნივერსიტეტისა, ბოლოს კი — მასპინძლები. თითოეულ გუნდში 5-5 კაცი იყო. შეჯიბრება გახსნეს გოგონებმა.

საერთო შედეგების მიხედვით ჩემპიონობა მოიპოვა ჩვენი უნივერსიტეტის გუნდმა (405,6 ქულა), მეორე ადგილი დაიკავეს ლენინგრადელებმა, ხოლო მესამე — მოსკოველმა ტანმოვარჯიშეებმა.

შეჯიბრების სამმა მონაწილემ პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმა. ესენი არიან ლენინგრადელი მორეევაკოვა და მოსკოველები — ბესოვა და ლებედევა.

ქალთა შორის აბსოლუტური ჩემპიონის წოდება მოიპოვა ჩვენი უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის განყოფილების სტუდენტმა, სპორტსმენშვილმა, მისი შედეგი II ადგილი დაიკავა უნივერსიტეტის სტუდენტსტატმა შეკატოლოგად ნიშელი ტანმოვარჯ მიერ შესრულებულ ვარჯიში, რაშიაცვალება (9,55 ქულა) ადგილი წილად ხვდა ნ. ...ელ...

ვაჟთა ადგილები დაიკავეს უნივერსიტეტის ტანმოვარჯ ადგილი მეეკუთხეტს მ. ბოგუს (სპორტის ოსტატ ...), ხოლო მესამე ...ახალგაზრდა ნიშელ ... გ. მეტრეველმა.

...ოგის ვაიმარჯ პარალელურ შორის ...ნიშნები.

...ლიშვილი



რევანში არ შედგა

მოსკოველ ჩოგბურთელებს ჩვენი უნივერსიტეტის სპორტსმენები შეხვდნენ შარშან ხარკოვში საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა საჩაფხულო თამაშებზე. მაშინ თბილისელებმა აღმავლობით ჩაატარეს შეჯიბრება და დამსახურებულად გაიმარჯვეს.

წელს მოსკოველ სტუდენტებს რევანშის საშუალება მიეცათ, მაგრამ რევანში არ შედგარა. ჩვენმა ჩოგბურთელებმა ერთხელ კიდევ დაამტკიცეს თავიანთი სიძლიერე. გამოამცდელ საუკეთესო ტექნიკური თვისებები და დაამარცხეს მოსკოველი ჩოგბურთელები ანგარიშით 6:3;

მოსკოველთაგან საუკეთესო იყო გუნდის პირველი ნომერი აგაშინი, რომელმაც მოუგო თბილისელ მძინარიშვილს სამი შეხვედრა (ერთეული, წყვილი, შერეული წყვილი).

ჩვენი ჩოგბურთელების გამარჯვება შიდიდი წვლილი შეიტანეს გ. ლეკაშვილმა, გოგლიძემ, ტ. ელჩანინოვამ და მ. ბადალოვამ, რომლებმაც მაღალ ტექნიკურ და ტაქტიკურ დონეზე ჩაატარეს შეხვედრები და გადამწყვეტ მომენტებში ყოველთვის გამარჯვებულები გამოდიოდნენ.

ჩვენი ჩოგბურთელების წარმატება სამი უნივერსიტეტის სტუდენტ სპორტსმენთა შეჯიბრებაზე სავსებით კანონზომიერი იყო.

მ. ქოგალია,

ჩოგბურთელთა გუნდის მწვრთნელი.

სურათზე: მოსკოველი და თბილისის უნივერსიტეტების ჩოგბურთელები ერთმანეთს გადასცემენ სამახსოვრო ნიშნებს.

თბილისელი სამგისტეგის გრწყინვალე შედეგი

სამბოში პირველად ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოველი და თბილისელი სპორტსმენები. ლენინგრადელები ამ დღეს ისვენებდნენ. სამახსოვრო ვიმპელების გაცვლის შემდეგ ხალიჩაზე ცხარე ბრძოლა გაიმართა. მოსკოველთა გუნდში შედიოდნენ გამოცდილი მოჭიდავეები, რომლებიც კარგად ფლობდნენ სამბოს ილეთებს.

პირველ წყვილში ჩვენი უნივერსიტეტის ეკონომური ფაკულტეტის სტუდენტი, სპორტის ოსტატი რ. ლომსაძე შეხვდა მოსკოველ პირველთანრიგოსან სტუდენტს ნ. ბერეტეტს და აშკარა უპირატესობით დამარცხა იგი. პირველმა გამარჯვებამ ძალა შემატა ჩვენი გუნდის დანარჩენ მონაწილეებს: პირველთანრიგოსანმა გ. ბესტავაშვილმა ქულებით მოუგო პირველთანრიგოსან შ. შაიხმეტოვს; ნახევრად მსუბუქ წონაში სპორტის ოსტატმა ვ. ჩიკვილაძემ სძლია ა. კოშენკოს, მსუბუქ წონაში სპორტის ოსტატმა ი. გერტშვილმა პირველთანრიგოსან ი. გაჩიკვეთან შეხვედრაში ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. განსაკუთრებით საინტერესო იყო სპორტის ოსტატის გ. გელაშვილისა და პირველთანრიგოსან ი. სპირიდონოვის შეხვედრა. ქართველი სტუდენტი აქტიურად უტევდა მოწინააღმდეგეს და ქულებით იგებდა შეხვედრას, მაგრამ მოულოდნელად მოწინააღმდეგემ დაიჭირა მტკივნეულ ილეთში, რის შემდეგაც, ჩვეულებრივ, ნებდებიან ხოლმე. გელაშვილმა დიდი გამძლეობა და ნებისყოფა გამოიჩინა, დაუსტლტა მოწინააღმდეგეს და ქულებით დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა. მომდევნო წონით კატეგორიაში მოსკოელ უნივერსიტეტის ბიოლოგიური ფაკულტეტის ასპირანტმა, სპორტის ოსტატმა ვ. ბუდანოვმა, ნამდვილი სამბო გვიჩვენა და ბრწყინვალე სტილში მოუგო პირველთანრიგოსან ლ. სოხურაშვილს.

უკანასკნელ წონით კატეგორიებში მოსკოველთა გამარჯვებების ნაკადი შეაჩერა ძმიმე წონის სპორტსმენმა, სპორტის ოსტატმა ფარნაოზ ჩიკვილაძემ, რომელმაც ქულებით მოუგო ა. ლოგინოვს.

ანგარიშით 10:19 გამარჯვება მოიპოვეს თბილისის უნივერსიტეტის სპორტსმენებმა.

მეორე წრეში თბილისელები უნდა შეხვედროდნენ ლენინგრადელებს, რომლებიც პირველი წრის მატჩებში მონაწილეობას არ ღებულნენ და პირველ შეჯიბრებას დასვენებულები შეხვდნენ. ამიტომ ბევრს ეშვი ეპარებოდა თბილისელთა წარმატებაში. მაგრამ მოხდა პირიქით: პირველი წონითი კატეგორიდან უკანასკნელამდე თბილისელები მეტგრად უტევდნენ მოწინააღმდეგეებს. და ზედიზედ იმარჯვებდნენ. მხოლოდ ნახევრადსაშუალო წონაში მიეღება გამარჯვება ლენინგრადელ ნ. ტოფსტენკოს და ისიც ამიტომ, რომ გელაშვილი მოსკოველებთან შეხვედრაში მიღებული ტრამვეის გამო შეჯიბრებაზე ვერ გამოვიდა.

თბილისელებისა და ლენინგრადელების შეხვედრაში ყველაზე საინტერესო იყო ნახევრად მსუბუქი წონის მოჭიდავეთა, სსრ კავშირის სპორტის ოსტატების — ვ. ჩიკვილაძისა და ა. კოლიაიტინის შეხვედრა. ეფექტური ილეთის შედეგად 3 წუთსა და 20 წამში ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა ვ. ჩიკვილაძემ.

ამრიგად, ...ტეტის სამ... ...ლენინგრადელ... ...ორიმით 5:21 ... სტუდენტ... სპორტზე სავსებით ...ამ... I ადგილ...

...ეს... შეხ... ...ლენინგრა... ...ელებიც. მეორე ...ადგილ... ...ამ შეხვედ... ...ანთ... ...ტო... ...ეტ... ...ერი... ...ოგ... ...ოვ... ...ტ... ...ეტ... ...ელ... ...ეტ... ...ელ... ...ეტ... ...ელ

ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲥᲠᲘᲜᲘᲙᲔᲑᲘ

★ ★ ★

ᲡᲐᲤᲐᲠᲘᲙᲐᲝ ᲑᲘᲚᲘᲙᲔᲑᲖᲔ

სამი უნივერსიტეტის მოფარეკავეთა შეჯიბრება რაჰირის ოსტატთა შეხვედრებით დაიწყო. საფარიკაო ბილიკებზე პირველად მოსკოვისა და ლენინგრადის უნივერსიტეტების ქალთა გუნდები გამოვიდნენ ამ შეხვედრაში წარმატებას ლენინგრადელმა სპორტსმენებმა მიაღწიეს. ლენინგრადელი ჯეგები უძლეურესნი იყვნენ თბილისელებთან შეხვედრის დროსაც და დამსახურებულ გამარჯვებას მიაღწიეს.

ქალთა შეჯიბრებაში თავი ისახელეს ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტებმა, სპორტის ოსტატებმა — ლონდა ფანჩვიძემ, გიული გორდაძემ და პირველთანრიგოსანმა ირინა ბოლოთაევამ, რომლებმაც ადვილად სძლიეს მოსკოველ და ლენინგრაველ სპორტსმენებს და პირველი ადგილები დაიკავეს.

განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწიეს ჩვენი უნივერსიტეტის გაჯეტმა დაშნით და ხმლით ბრძოლაში. სპორტის ოსტატებმა — ნ. ასათიანმა, შ. სოლომანიძემ, პირველთანრიგოსნებმა გ. ბახტაძემ, თ. შერკაშვილმა, ე. იობაძემ და ვ. მკვდლაძემ მაღალ დონეზე ჩაატარეს ყველა ბრძოლა და პირველ ადგილებზე გამოვიდნენ. დაშნით ბრძოლაში მეორე ადგილი მოსკოველებს ხვდათ, ხოლო ხმლით ბრძოლაში — ლენინგრადელ სპორტსმენს.

საერთო გუნდური პირველი ადგილი ჩვენი უნივერსიტეტის მოფარეკავეებმა დაიკავეს, მეორე ადგილზე ლენინგრადელები, ხოლო მესამეზე მოსკოველი სპორტსმენები გამოვიდნენ.

Უ. ᲭᲘᲠᲐᲫᲐᲫᲘ

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: მოსკოველ და ლენინგრადელ მოფარეკავეთა შეხვედრა. მარჯვნივ — ბახანა (მოსკოვი), მარცხნივ — ზაიცევი (ლენინგრადი). გაიმარჯვა ზაიცევამ.

ᲚᲝᲒᲝᲠᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲢᲣᲓᲘᲝᲔᲑᲘ

ᲛᲝᲕᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲠᲔᲕᲐᲜᲨᲘᲡᲗᲕᲘᲡ

მოსკოვის უნივერსიტეტის სამბიტები მაღლობას ვუხდით თბილისელ მეგობრებს, რომლებმაც მოგვწვიეს სამი ქალაქის — თბილისის, მოსკოვისა და ლენინგრადის უნივერსიტეტის სტუდენტ სპორტსმენთა შეხვედრებში მონაწილეობის მისაღებად. ბევრი რამ გვსმენია ქართული სტუმართმოყვარეობის შესახებ, მაგრამ ჩვენი მასპინძლების გულუხვობამ და გულთბილობამ ყოველგვარ მოლოდინს გადაჭარბა.

შეჯიბრების ორგანიზაციაა მოსაწონი იყო, მსაჯებიც მაღალ დონეზე იდგნენ. ჩვენი აზრით, სამივე გუნდი კარგად იყო მომზადებული. ბრწყინვალედ გამოვიდნენ შეჯიბრებაზე ჩვენი ქართველი მეგობრები.

მაღლობას ვუხდით მასპინძლებს შეჯიბრების წინ საწვრთნო ვარჯიშების კარგი ორგანიზაციისათვის. სამწუხაროა, რომ თქვენს ბრწყინვალე სტუდენტ მოჭიდავეებს არა აქვთ კეთილმოწყობილი საჭიდაო დარბაზი.

კარგი იქნება, თუ სამი უნივერსიტეტის სტუდენტ სპორტსმენთა შეხვედრები ტრადიციული გახდება.

ვუსურვებთ თქვენი უნივერსიტეტის სპორტსმენებს ახალ-ახალ წარმატებებს სწავლასა და სპორტში!

ნახვამდის, საჭიდაო ხალიჩაზე ახალ შეხვედრამდე, ქართველო მეგობრებო!

Ვ. ᲒᲣᲓᲐᲜᲝᲕᲘ,
მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამბისტ მოჭიდავეთა გუნდის კაპიტანი, სპორტის ოსტატი.

ᲛᲝᲒᲕᲘᲮᲘᲠᲚᲐ ᲗᲥᲕᲔᲜᲗᲐ ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡᲐ

თბილისელი და მოსკოველი ჩოგბურთელები ძველი მეტოქეები და მეგობრები არიან, უკანასკნელად ჩვენ ერთმანეთს შეეხვედით უმაღლეს სასწავლებელთა საკავშირო პირველობაზე, რომელიც ხარკოვში ჩატარდა. მაშინ გამარჯვება თქვენმა სპორტსმენებმა მოიპოვეს.

მოუთმენლად ველოდით ახალ შეხვედრას, ამიტომ განსაკუთრებით გვსიამოვნებდა, რომ შეხვედრებმა მოგვეცა კვლავ შევეკიბროთ თბილისის უნივერსიტეტის ჩოგბურთელებს, ვიყოთ მათი სტუმრები ქართული ეროვნული დღესასწაულის წინა დღეებში. როგორიც არ უნდა ყოფილიყო შეხვედრის შედეგი, ჩვენ ვიცოდით, რომ შეჯიბრება მეგობრულ ვითარებაში ჩატარდებოდა და ორივე გუნდი ქმაყოფილი დარჩებოდა.

ამას გარდა, ჩვენ გვახარებს გულთბილი შეხვედრა, რომელიც სტუდენტქალაქში მოგვწყვეს. მობიბლიული ვართ თქვენი მშვენიერი დედაქალაქის — თბილისის სილამაზით.

Ა. ᲡᲝᲚᲝᲜᲘᲜᲘᲙᲘ,
მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჩოგბურთელთა გუნდის კაპიტანი.

ᲡᲐᲠᲗᲝ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲨᲘ

ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ისევე როგორც სხვებთან კაშრის ყველა უმაღლეს სასწავლებელში, ფიზიკური კულტურა და სპორტი სასწავლო - აღმზრდელობითი პროცესის განუყოფელ ნაწილს შეადგენს.

ამას გარდა, ფიზიკურ ვარჯიშსა და სპორტს, როგორც აქტიური დასვენების უბადლო საშუალებებს, ყოველდღიურად იყენებენ ცხოვრებაში, სწავლასა და შრომითს საქმიანობაში ჩვენი სტუდენტები, ასპირანტები პროფესორ - მასწავლებლები და თანამშრომლები.

ჩვენს უნივერსიტეტში სპორტის 37 სახეობაში მეცადინეობს 10 ათასამდე კაცი, რომელთაგანაც 60-ზე მეტი სპორტის ოსტატი და 300-ზე მეტი პირველთანრიგოსანია.

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრა სპორტულ კლუბსა და უნივერსიტეტის მთელ სპორტულ საზოგადოებრიობასთან ერთად დიდ მასობრივ, გამაჯანსაღებელ მუშაობას ეწევა.

ყოველწლიურად ჩვენი უნივერსიტეტის 13 ფაკულტეტს შორის იმართება ტრადიციული სპარტაკიადა სპორტის 24 სახეში. (მიმდინარე სასწავლო წელს ჩატარდა რიგი 23-ე საუნივერსიტეტო სპარტაკიადა). ამას გარდა, სპორტის სხვადასხვა სახეებში ტრადიციული სპარტაკიადები ტარდება ფაკულტეტებზე კურსების გუნდებს შორის.

სტუდენტთა შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს საუნივერსიტეტო სპორტული დღესასწაულები და სპორტული თამაშები, რომლებიც ყოველწლიურად ეწყობა. ყოველი ახალი სასწავლო წლის დაწყებისადმი მიძღვნილი დღესასწაულის — „ოქროს შემოდგომის" სანახაობითსა და სპორტულ ნაწილში მონაწილეობას იღებს 4 ათასამდე სტუდენტი და ახალბანები. ზამთრის ტრადიციულ სპორტულ თამაშებში, რომელთა პროგრამაშიც შედის სათხილამურო და სამთო-სათხილამურო სპორტი, ჰოკეი, ფეხბური და კალათბურთი — თოვლზე, ცივუნარობა და სხვა, მონაწილეობს 8 ათასამდე კაცი.

ბევრი მონაწილე და მაყურებელი ჰყავს ე. წ. გაზაფხულის სპორტულ დღესასწაულს, რომელიც მაისში ტარდება.

ჩვენი უნივერსიტეტის სპორტსმენები მონაწილეობენ ქალაქ მოსკოვის უმაღლესი სასწავლებლების პირველობაზე, მისი პროგრამის ყველა სახეში. გასულ სასწავლო წელს კომპლექსურ ჩაფვლაში ჩვენ მე-3 ადგილი დავიკავეთ ფიზკულტურის ინსტიტუტისა და ენერგეტიკის ინსტიტუტის სპორტსმენთა შემდეგ.

სტუდენტთა საკავშირო შეჯიბრებაში, რომელიც 1960 წელს ქ. ხარკოვში ჩატარდა, ჩვენი კოლექტივი სპორტის 9 სახეში გამოვიდა. მხოლოდ ჩვენმა მოცურავეებმა შეძლეს 1 ადგილის დაკავება, დანარჩენი ჩვენი გუნდების გამოსვლა კი არადამაკმაყოფილებელი იყო.

ამჟამად უნივერსიტეტში გვყავს საკმაოდ კარგი გუნდები წყალბურთში, ცურვაში, კრიფში, კალათბურთში, ფრენბურთში, სპორტულ ტანვარჯიშში, სათხილამურო და სამთო-სათხილამურო სპორტში, მაგიდის ჩოგბურთში, ჭადრაკში, ოალენიან სპორტში და სხვ., ამასთან, ნათელია, რომ სპორტი უმაღლეს სასწავლებლებში ძალიან სწრაფად ვითარდება, ამის დამადასტურებელია თუნდაც თბილისის უნივერსიტეტის სპორტსმენთა გამარჯვება სამი ქალაქის — თბილისის, ლენინგრადისა და მოსკოვის უნივერსიტეტების სპორტსმენთა მეგობრულ შეხვედრებში. მომავალში ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ ჩვენი სპორტსმენების ოსტატობა საგრძნობლად ავამაღლოთ და უკეთეს შედეგებს მივაღწიოთ.

ᲛᲐᲡᲚᲘᲐᲙᲝᲕᲘ,
ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის გამგე.

ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐᲛᲓᲔ, ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲝ!

კალათბურთში გამართულ შეჯიბრებებში მონაწილეობას იღებდნენ ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვაჟთა და ქალთა გუნდები. შეჯიბრების მონაწილე ყველა გუნდი კარგად იყო მომზადებული, ამიტომ ბრძოლას მწყვეტ და დაძაბული ხასიათი ჰქონდა.

განსაკუთრებით გაუქნელდა ჩვენს ქალთა გუნდს ბრძოლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქალთა გუნდთან, რომლის შემადგენლობაშიც შედიან ბრწყინვალე სპორტსმენები: პეტროვა, წიკლაური, აროიანი, ბურჯანაძე, გენგაშვილი და სხვები. მით უფრო სახიამოვნი იყო ასეთი ძლიერი მოწინააღმდეგის დამარცხება.

კარგი შეიბეჭდილება დატოვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვაჟთა გუნდმა, რომელიც სწრაფი და ძლიერი თამაშით გამორჩეოდა. გუნდში საუკეთესო მოთამაშის გამორჩევა ძნელია, ყველა ბრწყინვალედ თამაშობდა.

ჩვენი სპორტსმენები მიხარული არიან, რომ უმშვენიერს ქალაქს — თბილისს გაეცვნენ.

მოსკოველი კალათბურთელები გულითადი, მეგობრული შეხვედრისათვის მადლობას ვუხდით თქვენი უნივერსიტეტის რექტორატს, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრას, ყველა საზოგადოებრივ ორგანიზაციას და, განსაკუთრებით, ჩვენს „მოწინააღმდეგეებს" — სტუდენტ სპორტსმენებს.

სასურველია, რომ ჩვენი უნივერსიტეტების სპორტსმენთა ასეთი მეგობრული შეხვედრები ტრადიციად იქცეს და მათში უფრო მეტმა გუნდმა მიიღოს მონაწილეობა.

ახალ შეხვედრამდე, მეგობრებო!

Ი. ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘᲔᲕᲐ,
მოსკოვის უნივერსიტეტის კალათბურთელ ქალთა გუნდის კაპიტანი.

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: სპორტლუბების გამგე, დოც. გ. პატარიძე სიგელს გადასცემს ლენინგრადის უნივერსიტეტის ფიზაღზრდისა და სპორტის კათედრის გამგის მოადგილეს, ამხ. ვ. კრავლოიეს.

ფოტოები **ზ. ᲒᲕᲔᲢᲐᲫᲘᲡ**

ლიტერატურული ფურცელი

წიგნთა ფონდის დაცვისა და მკითხველთა მომსახურების გაუმჯობესებისათვის



რამდენიმე თვეა ჩვენი უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკამ შეიძინა მიკროგადამღები აპარატი, რაც დიდად შეუწყობს ხელს მკითხველებისათვის კარგად მომსახურების საქმეს. სამეცნიერო ბიბლიოთეკის ფონდში ინახება უნიკალური გამოცემები, ასევე, ჟურნალ-გაზეთები, რომელთა ფურცლები ხშირი ხმარებისა და ყამთა სკლის გამო გაყვითლებული, დაცრეცილი და გათხელებულია. მათი გამოყენება შეუძლებელია. ამ მხრივ მიკროგადამღებ აპარატს დიდი სამსახურის გაწევა შეუძლია: მისი საშუალებით უნდა მოხდეს ძველი წიგნის თუ ჟურნალის ფურცლების გადაღება. იგი დღეში დაამუშავებს 2000-მდე გვერდს, რომელთა ნეგატივების სახით წარმოხდება მოხდება უკვე არსებული სპეციალური აპარატით. ამავე დროს ნეგატივები უნდა ინახებოდეს ძლიერ ფაქიზად. ფოტოქაღალდზე დაიბეჭდება ისეთი წიგნები, რომელთა ხმარება აუცილებელია სახლში წაღებით. ამისათვის საჭიროა პირველ რიგში სპეციალური სამუშაო ოთახის გამოყოფა, მასალებისა და დამხმარე ინვენტარის შეძენა ლაბორატორიის მოწყობისათვის და სხვა ორგანიზაციული ღონისძიებანი.

საჭიროა ამ მეტად მნიშვნელოვან საქმეს დროულად მიეკეცეს ყურადღება.

ნ. სიხვიხვაძე

სურათზე: მიკროგადამღები აპარატი.

უცხოელი ახალგაზრდები — ჩვენთან სწავლად

ზამთრის არდადეგების პერიოდში საქართველოს ესტუმრა უცხოელი ახალგაზრდობის მრავალრიცხოვანი ჯგუფი, მის შემადგენლობაში შედიოდნენ ახალგაზრდობის საერთაშორისო ორგანიზაციებისა— დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციისა და სტუდენტთა საერთაშორისო კავშირის სტიპენდიატები, რომელნიც სწავლობენ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში.

ქართველი ახალგაზრდობა გულთბილად შეხვდა სტუმრებს, კუბის, ინდონეზიის, არაბეთის, ბელგიისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენლებს. მათ დაათვალიერეს თბილისის ღირსშესანიშნაობები, ამოგაზარეს გორისა და ბათუმში.

31 იანვარს სტუმრები ეწვივნენ ჩვენს უნივერსიტეტს, დაათვალიერეს მისი სასწავლო კორპუსები, ინტერესით მოისმინეს სამეცნიერო მუშაობის დარგში უნივერსიტეტის პროორექტორის პროფ. სერგი ჟღენტის საუბარი უნივერსიტეტის ისტორიისა და მისი მრავალფეროვანი საქმიანობის შესახებ.

საუბარში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე უნივერსიტეტის ალეკ კომბატენტის მდივანმა ამხ. ნუგზარ ქავთარაძემ, სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების საბჭოს თავმჯდომარემ, ასპირანტმა ალეკსანდრე ალეკსიძემ და მოწონავე სტუდენტებმა.

„საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციის განვითარების ეტაპები"



ჩვენი უნივერსიტეტის გამომცემლობამ გამოცა დოც. გ. ერემოვის წიგნი — „საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციის განვითარების ეტაპები", რომელიც მიძღვნილია საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავისადმი.

წიგნი შედგება რვა თავისაგან. ავტორი თანმიმდევრულად განიხილავს მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებას სოციალისტური სახელმწიფოს კონსტიტუციური საფუძვლების შესახებ ეხება ქართველი ხალხის ბრძოლას ეროვნული სუვერენიტეტისა და საჰელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის, მეწმენეიური რეფორმის ანტიხალხური და კონტრრევოლუციური ბუნების დამაჯერებლად გადმოცემის შემდეგ იძლევა საქართველოს „დემოკრატიული რესპუბლიკის" კონსტიტუციის პროექტის იერიდიულ ანალიზსა და მის დებულებათა კრიტიკას მარქსისტული პოზიციებიდან.

ავტორი დეტალურად მიმოიხილავს საბჭოთა აღმშენებლობის პირველ წელს საქართველოში, შემდეგ ეხება საქართველოს სსრ საბჭოების პირველ ყრილობასა და საქართველოს სსრ პირველი კონსტიტუციის მიღებას. წიგნში მოცემულია საბჭოთა ფედერაციის არსის მკაფიო დახასიათება, სსრ კავშირისა და ამიერკავკასიის სფსრ კონსტიტუციების მიღება და მათი მნიშვნელობა. ავტორი ეხება საქართველოს სსრ კონსტიტუციაში მომხდარ ცვლილებებს და საქართველოს ახალი კონსტიტუციის (1927 წ.) მიღებას.

წიგნში ფართოდაა დახასიათებული საქართველოს სსრ ამჟამად მოქმედი (მესამე) კონსტიტუცია, აღნიშნულია ყველა ის ცვლილება და დამატება, რაც ამ კონსტიტუციაში იქნა შეტანილი 1937 წლიდან 1960 წლამდე.

დოც. გ. ერემოვის წიგნი კარგი საჩუქარია ქართველი მკითხველისათვის.

უ. ბახტაძე

ლია ჭავჭავაძე

იმერეთის გაზაფხული

თეთრად გაზაფხულებულა,
ლურჯად გაზაფხულებულა.
შორიდან იყურებიან
ოდები — ცისფერთვალება,
ყანები — თეთრი ჭუდებით,
ზვრები — მაისის სილურჯით.
გაირბენს მარწყვისტუნება,
მარწყვისტუნება თავნება

— ჩემო მწველო, ჩემო მხსნელო, —
მიუმღერებენ ბიუები.

თეთრად გაზაფხულებულა,
მორბის შავი ყვირილი.
აბრდება უნებურად
ბალახებში გვირილა,
მოდი, ნახე... მოდი, ნახე
ლურჯი მთები იმერის,
ხეროსფერი მოდინახე
დადიანის სიმღერით.
— ჩემო მწველო, ჩემო მხსნელო, —
გული ასიმღერდება,
და ველათი — მხრებმადალი,
ბერდება, არც ბერდება...
ასე ტკბილად დაბერება
ყველა კეთილს ეღირსოს!..
ვარ მახარე იმერისა,
ვარ კეთილი ფეხისა!

აკა მშვიდობა, მიწაო,
უნდა საკეთოდ გიწამო,
ჩემო პატარა მიწაო,
ეჰ.. ჩემო დიდო მიწაო!

მთებზე დავით მელანდება
ლურჯ მერანზე გიფრენილი,
მაისია და ვარდები
გზებზე არი დაფენილი,
მელიმება უნებურად,
ველიმება უნებურად,
ლურჯად გაზაფხულებულა,
თეთრად გაზაფხულებულა!..

კოლხური ფანტაზია

მწვანე ბორაკებს ავყვები ზევით,
ვხედავ ბილიკებს; უთენია რომ
დავეძებდი
და ფეხშიშველა მივდივარ გზაზე.
ფოთლისფერ გზაზე.
რქაფაფრუხლნი შემხვდნენ ვერძები,
ოქროს ვერძები
და მიდის ფარა...
და ნათოვია ირგვლივ ბალახი,
ბალახზე თეთრი თოვლი მიდის და
მიდის,
ო, მე კოლხეთის მიწაზე ვდგავარ,
ხელში მიეპარავს ცა მალაქიტის,
მე მედავ ვარ,
მოდი, იაშონ!..

დიდამშვიდობისა, მგზავრო კეთილო!

რკინის ხელთათმანებს ხელები იხდიან
ხელები, რომელთაც ააგეს მრდი...
ხელები,
რომელთაც გადაწვეს მიდია,
ხელები,
რომელთაც მიპაკადთ მედეა,
ხელები,
რომელთაც ატირეს მინდია
და ცაში ირევა ლამაზი ფერები —
მოთეთრო, მოშავო, ყვითელი ფერები
ერთმანეთს ხვდებიან დალლილი ხელები
რკინის ხელთათმანებს ხელები იხდიან
და უკვდავებისთვის მზისაკენ მიდიან!

სხივებმა მზესთან აიტანეს
წიფლის აკვანი,
ბოი, გვიმრავლოს ლეკვები ვეფხვის!
და მადლიანი მზის ასულები;
სხივებმა მზესთან აიტანეს
წიფლის აკვანი,
თეთრი შუბაუნა
ნამიან ტუჩებს მიწას აკარებს,
თეთრი ქალწული
მიირხევა გზაზე ვით ვერხვი.
სხივებმა მზესთან აიტანეს
წიფლის აკვანი,
ბოი, გვიმრავლოს ლეკვები ვეფხვის!

ნუ დაკარგნიან
სვეტიცხოვლის თეთრი ვარდები,
პატარა მიწავ,
შენ ხარ ჩემი სვეტიცხოველი.
სანამ შუბაუნა
ნამიან ტუჩებს მიწას აკარებს
და იგუგუნებს
გამარჯვების ტკბილი სალამი,
ო, ნუ მოკვდები, მიწავ, მანამდე.
სხივებმა მზესთან აიტანეს
წიფლის აკვანი
და საქართველოს
მანანები ჩამომანანდნენ.

შედეგები და ამოცანები

დაიწყო 1960—1961 სასწავლო წლის მეორე სემესტრი. დაისახა ახალი ამოცანები ფაკულტეტების დეკანატების, პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული ორგანიზაციების, პროფესორ-მასწავლებლთა და სტუდენტთა მთელი კოლექტივის წინაშე. ახალი სემესტრი რომ წარმატებით დავიწყოთ და დავასრულოთ, ამისათვის აუცილებელია თვალი გადავაგლოთ განვლილი მუშაობის შედეგებს, გავერკვეთ ნაკლოვანებებში და გავითვალისწინოთ ისინი მომავალ საქმიანობაში.

პირველი სემესტრის მთელს პერიოდში, ისე როგორც ყოველთვის, ფაკულტეტების სტუდენტთა კოლექტივის ავანგარდში იმყოფებოდნენ კომუნისტი სტუდენტები, რომელთა საქმიანობასაც სწორად წარმართავდნენ ძარღვიული პარტიული ორგანიზაციები დეკანატებთან ერთად.

კომუნისტი სტუდენტების დიდი უმრავლესობა თავმოყრილია ფილოლოგიის, ისტორიისა და იურიდიულ ფაკულტეტებზე (პარტიული ბიუროების მდივნები — ამხ. ამხ. ნ. ბაყაროლიძე, გ. შველიძე, დ. ცინცაძე). კომუნისტების მიერ სწავლისადმი თავდადვე მაღალი მოთხოვნილობის გამოჩენისა და პარტიული ბიუროების მხრივ სისტემატური კონტროლისა და ხელმძღვანელობის შედეგად ამ ფაკულტეტების 64-ვე კომუნისტი სტუდენტი ასწრებს აკადემიურად.

ზამთრის გამოცდებზე ყველა საგანში ფრიადი შეფასება დიპლომატურს კომუნისტებმა — ბ. სოხვაძემ, რ. ხვანიძემ, რ. მეტრეველმა, უ. ანნსაანმა, გ. ქვარიანმა, ა. ჩიხრაძემ, ბ. გიორხელიძემ, ნ. ზაქარიაძემ, ო. ფხაკაძემ, კ. ქურდაძემ, ი. ისაკოვმა (ისტორიის ფაკულტეტი); ი. ბერიძემ, ო. დოხნაძემ, თ. შამუგიამ, გ. მოლაშხიამ, რ. პოპოვამ, ი. ცქიტაშვილმა, გ. ჩიქვილაძემ, გ. შეთეკაურამ (ფილოლოგიის ფაკულტეტი); დ. დოლბაძემ, კ. ლაბარტყავამ, ი. მახარაძემ, ბ. ბარამიამ (იურიდიული ფაკულტეტი); ასევე, ფრიადებზე დაამთავრეს საგამოცდო სესიები მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სტუდენტებმა — ლ. ბერაძემ და ჰ. მელაძემ, გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტისა — ხ. ხარძეიშვილმა, ბიოლოგიის ფაკულტეტის — გ. ბიადგოშვილმა. ამასთანავე, კომუნისტი სტუდენტების დიდმა ნაწილმა ფრიადსა და კარგზე ჩააბარა ყველა საგამოცდო საგანი.

კომუნისტი სტუდენტების აკადემიური მოსწრების ეს მაჩვენებელი, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ კომუნისტ სტუდენტთა ერთმა ნაწილმა საგამოცდო სესიებზე არადამაკმაყოფილებელი შეფასება მიიღო ერთ ან ორ საგანში, უნდა ვალიაროთ, რომ ამ მხრივ ყველაფერი რიგზე არა გვაქვს. ეს ფაქტი, ერთი მხრივ, იმაზე მიუთითებს, რომ კომუნისტმა სტუდენტებმა ვერ გამოიჩინეს შრომასა და სწავლაში ის ავანგარდული როლი, რომლისთვისაც მოწოდებული არიან, ხოლო, მეორე მხრივ, აშკარას ხდის რიგი ფაკულტეტების პარტიული ბიუროების სუსტ მუშაობას კომუნისტ სტუდენტთა საქმიანობის მიმართ სისტემატური კონტროლისა და დახმარების გაწევის საქმეში.

განა შეიძლება, თუ არა აღნიშნული გარემოებებით, სხვა რაიმე მიზეზით აიხსნას ის ფაქტი, რომ ფიზიკის ფაკულტეტზე (პარტბიუროს მდივანი ამხ. გ. გამცემლიძე) აღრიცხვაზე მყოფი ორი კომუნისტი სტუდენტიდან ერთი (ო. თაყაიშვილი) ვერ ასწრებს ორ საგანში, ხოლო მეორე — (ვ. ბირკაია) — ერთ საგანში. ფილოსოფიის ფაკულტეტზე (პარტბიუროს მდივანი ამხ. ა. გოგაშვილი) სამი კომუნისტი სტუდენტია და მათგან მეორეკურსელი ხ. მანიას არადამაკმაყოფილებელი შეფასება აქვს მიღებული ორ საგანში. ასევე, ბიოლოგიის ფაკულტეტის (პარტბიუროს მდივანი ამხ. ვ. ტყეშელაშვილი) სამი კომუნისტი სტუდენტიდან ერთი (მ. ბალათარია) ვერ ასწრებს ერთ საგანში.

ამასთან, უნდა აღინიშნოს რომ კომუნისტი სტუდენტების მნიშვნელოვან რაოდენობას (81-დან 34-ს) საგამოცდო საგნების უმრავლესობაში მიღებული აქვთ მხოლოდ სამიანი. ეს კი მათ ვერავითარ შემთხვევაში ვერ ჩაუყენებს სწავლის მოწინავეთა ავანგარდში.

აღნიშნულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ჩვენი კომუნისტი სტუდენტების ერთ ნაწილს, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ არა აქვს შეგნებული კომუნისტების ავანგარდული როლის მნიშვნელობა ჩვენი სოციალისტური ცხოვრების ყველა უბანზე. ისინი ცუდი მაგალითის მიმცემი არიან კომკავშირული და უპარტიო ახალგაზრდობისათვის.

ფაკულტეტების პარტიული ორგანიზაციების გადაუდებელი ამოცანაა აქედან მიაქცეონ ყურადღება ამ მდგომარეობას, ქმედითად გამოიყენონ მათს განკარგულებაში მყოფი ყველა შესაძლებლობა სწავლაში მაჩანჩალებასთან საბრძოლველად. აკადემიურად ჩამორჩენილი კომუნისტი სტუდენტებისადმი დახმარება იმაში კი არ მდგომარეობს, რომ მათ მიმართ ზედმეტი მეურვეობა გამოიჩინონ გამოცდების პერიოდში, არამედ იმაში, რომ სისტემატურ კონტროლქვეშ იყოლიონ ისინი: მოისმინონ მათი ანგარიშები პარტიული ჯგუფებისა და ბიუროების სხდომებზე, არ დატოვონ რეგვირების გარეშე მათ მიერ ლექციათა-სემინარების უმიზეზოდ გაცდენის, პრაქტიკულ-ლაბორატორიულ და სემინარულ მუშაობაში სუსტად მონაწილეობის ფაქტები. სათანადო აღმზრდელობითი მუშაობა ჩაატარონ სტუდენტებში პირადი პასუხისმგებლობის გრძნობის ამაღლებისა და ინიციატივიანობის უნარის გამომუშავებისათვის.

საჭიროა ფაკულტეტების პარტიულმა ორგანიზაციებმა თვითკრიტიკულად შეაჯამონ განვლილი პერიოდში კომუნისტ სტუდენტებთან მუშაობის შედეგები, არსებული ხარვეზების გათვალისწინებით დასახონ ახალი ამოცანები და აქედანვე მთელი მონდომებით გარდაქმნან თავიანთი საქმიანობა იმ მიმართულებით, რათა მეორე სემესტრში მიღწეულ იქნას, რომ ყველა კომუნისტი ღრმა საფუძვლიან ცოდნას ამეღებდეს ყველა საგამოცდო საგანში.

ზაქარია შველიძე

რედაქტორი ირ. ვეშაპიძე

რედაქციის მისამართი: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი, № 1. ტელეფონი 2—28—34

ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის სტამბა, ი. ჭავჭავაძის გამზირი № 1. ტირაჟი 2 000, უე 02337